



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries



პრესტური მცირე და საშუალო საწარმოებში, სადაც ეკო-ინოვაციური მიდგომები გამოიყენება

დღის წესრიგი

ოთხშაბათი-ხუთშაბათი

26-27 ოქტომბერი, 2022

Action implemented by:



THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

ზოგადი ინფორმაცია

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან, რითაც აჩვენა რეფორმების გატარებისა და სხვადასხვა სექტორის პოლიტიკის ევროკავშირის მიდგომებთან შესაბამისობაში მოყვანის მზადყოფნა. ასოცირების შესახებ შეთანხმების რამდენიმე მუხლი ითვალისწინებს მწვანე ეკონომიკის პრინციპებისკენ გადასვლას, კერძოდ, აღნიშნული დებულებები მოითხოვს მდგრადი საჯარო შესყიდვების მიდგომის დანერგვასა და ეკოეტიკეტირებისა და ეკო-ინოვაციების წახალისებას. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით. ამ პროცესში ხელშეწყობია საქართველოს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო პროცედურების გამარტივებას, იმპორტის შედარებით დაბალ ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) არის ხუთი პარტნიორი ორგანიზაციიდან ერთ-ერთი, რომელიც ახორციელებს ახლად დაწყებულ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ევროკავშირი გარემოსთვის (EU4Environment) აქტივობებს. ეს რეგიონული პროგრამა მხარს უჭერს 6 ქვეყანას, მათ შორის, საქართველოს, პოლიტიკის დაგეგმვასა და ინვესტიციების გამწვანებაში, ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირებასა და გარემოსდაცვითი საქმიანობის სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. უფრო კონკრეტულად, EU4Environment-ის კომპონენტის — „ცირკულარული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობების“ ფარგლებში, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP), გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა (EIEC) და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (GCNG) მხარდაჭერით შემუშავდა მცირე და საშუალო საწარმოებში ეკო-ინოვაციების პოტენციალის მქონე ძირითადი სექტორების შეფასება UNEP-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად. შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ სოფლის მეურნეობისა და ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორებს აქვთ ყველაზე მაღალი პოტენციალი ქვეყანაში ეკო-ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციისთვის. შეფასება, მათ შორის, დაეფუძნება აღნიშნული სექტორების სათბურის გაზების ემისიებს, წყლის მოხმარებას, აგრეთვე ზრდისა და ექსპორტის ტენდენციებს და ა.შ. UNEP-მა და GCNG-მა გამოაცხადეს წინადადებების მიღება 8 მცირე და საშუალო საწარმოს შესარჩევად ამ პრიორიტეტული სექტორებიდან, თავიანთი ეკო-ინოვაციური პოტენციალის შესახებ ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურების მისაღებად, და ეკო-ინოვაციური პრაქტიკის და ტექნოლოგიების დანერგვისთვის საგზაო რუკის შესამუშავებლად.

EU4Environment პროექტის კიდევ ერთი კომპონენტი, რომელსაც ახორციელებს UNEP, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, ფოკუსირებულია მდგრადი საჯარო შესყიდვებისა და ეკოეტიკეტირების წახალისებაზე. აღნიშნული მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კომპანიების/მცირე და საშუალო ბიზნესის მზადყოფნას, უპასუხონ მდგრადობის კრიტერიუმებით გამოცხადებულ საჯარო შესყიდვის პროცედურებს. მდგრადი საჯარო შესყიდვებისა და ეკოეტიკეტირების პოპულარიზაცია, თავის მხრივ, დაეხმარება კომპანიებს გახდნენ უფრო მოტივირებულები, აწარმოონ/შესთავაზონ უფრო მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები/მომსახურებები, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკისა და ბაზრის გამწვანებას.

პრესტურის მიზნები

წინამდებარე პრესტური მიზნად ისახავს მცირე და საშუალო მეწარმეების და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ეკოეტიკეტირებისა და მდგრადი წარმოების უპირატესობების შესახებ. მიზნის მისაღწევად დაგეგმილია ჟურნალისტების მოწვევა მინიმუმ იმ 5 საწარმოს მოსანახულებლად, რომლებმაც უკვე გადადგეს ნაბიჯები თავიანთი წარმოების პროცესის გამწვანებისკენ. ამდენად, სხვა დაინტერესებული ბიზნეს ოპერატორებისათვის წარმოადგენენ ერთგვარ მაგალითს, საუკეთესო პრაქტიკისა და ნასწავლი გაკვეთილების ათვისების კუთხით. აღნიშნული ტური ჟურნალისტებს საშუალებას მისცემს შექმნან საგაზეთო სტატიები და სოციალური მედიის კონტენტი, ასევე აიმაღლონ ცნობიერება მწვანე ეკონომიკასთან დაკავშირებულ თემებზე კომუნიკაციისთვის. სასწავლო ტური წარმოადგენს შესაძლებლობას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, რათა მათ დამატებით მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება საზღვარგარეთ მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნეს ობიექტებისგან. ტური შესაძლებლობას მისცემს ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ხაზი გაუსვან განხორციელებულ ღონისძიებებს და წახალისონ საწარმოები, მწვანე, ინოვაციური გადაწყვეტილებების მოძიების მიზნით, რომლებიც თავის მხრივ, გააძლიერებენ თავიანთ საბაზრო პოზიციას და კონკურენტუნარიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

მონაწილეები

პრესტურს დაესწრებიან საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების, ბიზნეს ასოციაციების, მასმედიის ეროვნული და ადგილობრივი ექსპერტები, სოციალური მედიის ინფლუენსერები, ასევე UNEP-ის წარმომადგენლები.

პრაქტიკული ინფორმაცია

პრესტური გაიმართება 2022 წლის 26-27 ოქტომბერს (26 ოქტომბერს - 14:00-19:00, 27 ოქტომბერს 10:00-19:00 საათებში) საწარმოებში ვიზიტის სახით.

პრესტური გაიმართება ქართულ და ინგლისურ ენებზე თანმიმდევრული თარგმნის საშუალებით.

ფორმატი და შემოთავაზებული შეკითხვები საწარმოებისთვის:

პრესტურის მიმდინარეობისას საწარმოების წარმომადგენლები ტურის მონაწილეებს გაუზიარებენ საკუთარ მიდგომებს ეკო-ინოვაციების მიმართულებით მწვანე ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით. ჟურნალისტები დამაზუსტებელ შეკითხვებს დასვამენ. აღნიშნული კითხვები, მათ შორის, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ქვემოთ მოცემული შეკითხვებით:

1. რა არის პოლიტიკის წინაპირობები საქართველოში ეკო-ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად? ასეთ ტრანსფორმაციაში მნიშვნელოვანი არის თუ არა ევროკავშირის ასოციაციის შეთანხმება?
2. როგორ შეაფასებდით ეკო-ინოვაციური მიდგომების შესახებ ცნობიერების დონეს და ეროვნულ დონეზე კომპანიების ხელმისაწვდომობას ახალ ტექნოლოგიებზე? რა გამოწვევებს ხედავთ საქართველოში ეკო-ინოვაციების პოპულარიზაციის მიმართულებით? რა ფინანსური რისკები არსებობს?
3. რა სარგებელს მოუტანს ეკო-ინოვაციებისა და მწვანე ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოში კომპანიებს (მაგალითად, ეროვნულ და საერთაშორისო

ბაზრებზე/მომხმარებლებთან წვდომა, ფინანსური დანაზოგი, საკუთარი რესურსების ოპტიმიზაცია და ა.შ.)?

4. რა მიდგომები შეიძლება გამოიყენოს მთავრობამ (როგორც შემსყიდველმა ორგანიზაციამ) ბიზნესის მოტივაციისთვის, რათა გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური მიდგომები და უზრუნველყოფილ იქნეს მათი მხრიდან მდგრადი საჯარო შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობა?
5. როგორ ხედავთ მცირე და საშუალო საწარმოების როლს საქართველოს ეროვნულ მიზნებში ეკონომიკის უფრო მწვანე მოდელზე გადასვლაში, მათ შორის პოსტკოვიდური მდგომარეობის ფარგლებში?

EU4Environment-ის შესახებ

„ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment - მწვანე ეკონომიკა) ეხმარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, დაიცვან თავიანთი ბუნებრივი კაპიტალი და გაზარდონ მოსახლეობის გარემოსდაცვითი კეთილდღეობა, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოქმედებების მხარდაჭერით, მწვანე ზრდის დემონსტრირებითა და შესაძლებლობების განვითარებით, გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების მართვის მექანიზმების დანერგვით.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ხუთი პარტნიორი ორგანიზაციის — OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკის მიერ, დაახლოებით 20 მილიონი ევროს ბიუჯეტის ფარგლებში, 2019-2024 წლებში.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ: EU4Environment@oecd.org.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს: www.eu4environment.org.

დრო	აქტივობა
დღე I – 26 ოქტომბერი	
14:00-14:15	<p>მისასალმებელი სიტყვა</p> <ul style="list-style-type: none"> • სოლომონ პავლიაშვილი, მინისტრის მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (tbc) / თამარ ალადაშვილი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი • კანა დემეტრაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო • დავით ადვაძე, მდგრადი განვითარების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო • ლესია ნიკოლაევა, მდგრადი საჯარო შესყიდვების საერთაშორისო ექსპერტი, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)
14:15-17:00	ვიზიტი ყვარლის ბაგაში, ყვარელი
17:00-19:00	ვიზიტი წიპწის ზეთის მწარმოებელ საწარმოში, გურჯაანი
19:00-20:00	სასტუმროში დაბრუნება
20:00-21:00	ვახშამი
დღე II – 27 ოქტომბერი	
09:00-10:00	საუზმე
10:00-12:00	ვიზიტი თეთრ ფერმაში, სიღნაღი
12:00-14:00	ვიზიტი მზის პანელებზე მომუშავე სამაცივრე მეურნეობაში, სართიჭალა
14:00-15:00	სადილი (ლანჩ ბოქსებით)
15:00-18:00	ვიზიტი ბიოლიზელ ჯორჯიაში, თბილისი